

# CDC-ის მიდგომა სისხლის ნაკადის ინფექციების პრევენციის დიალიზის ცენტრებში

(ანუ, დიალიზის დროს სისხლის ნაკადის ინფექციების (BSI) პრევენციის აუცილებელი ზომები)

## 1. მეთვალყურეობა და უკუკავშირი NHSN-ის გამოყენებით

ჩაატარეთ ყოველთვიური მეთვალყურეობა BSI-ებზე და სხვა დიალიზთან დაკავშირებულ მოვლენებზე CDC-ის ეროვნული ჯანდაცვის უსაფრთხოების ქსელის (NHSN) გამოყენებით. გამოთვალეთ დაწესებულების სპეციფიკური შემთხვევების რაოდენობა და შეადარეთ ისინი NHSN-ის სხვა დაწესებულებების მოცემულობას. აქტიურად გაუზიარეთ შედეგები წინა ხაზზე მყოფ კლინიკურ პერსონალს.

## 2. ხელის ჰიგიენის მეთვალყურეობა

ჩაატარეთ ხელის ჰიგიენის შესრულებაზე ყოველთვიური მეთვალყურეობა და შედეგები გაუზიარეთ სამედიცინო პერსონალს.

## 3. კათეტერის/სისხლძარღვოვანი წვდომის მოვლის მეთვალყურეობა

კვარტალურად ჩაატარეთ სისხლძარღვოვანი წვდომის ადგილის და კათეტერის მოვლის მეთვალყურეობა. შეაფასეთ პერსონალის მიერ ასეპტიკური ტექნიკის დაცვა კათეტერების შეერთების, გათიშვის და სახვევის გამოცვლის დროს. გაუზიარეთ შედეგები სამედიცინო პერსონალს.

## 4. პერსონალის განათლება და კომპეტენცია

პერსონალის მომზადება ინფექციის კონტროლის თემებზე, მათ შორის წვდომის ადგილის მოვლისა და ასეპტიკური ტექნიკის შესახებ. ჩაატარეთ კომპეტენციის შეფასებები ი ისეთ უნარებში, როგორცაა კათეტერის მოვლა და წვდომის ადგილის მოვლა ყოველ 6-12 თვეში ერთხელ და სამსახურში აყვანისთანავე.

## 5. პაციენტის განათლება/ჩართულობა

ყველა პაციენტისთვის ინფექციის პრევენციის შესახებ სტანდარტიზებული განათლების მიწოდება, მათ შორის სისხლძარღვოვანი წვდომის ადგილის მოვლის, ხელის ჰიგიენის, კათეტერის გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებზე, ინფექციის ნიშნების ამოცნობასა და დიალიზის განყოფილების გარეთ წვდომის მართვის ინსტრუქციების ჩათვლით.

## 6. კათეტერის შემცირება

კათეტერების რაოდენობის შესამცირებლად ზომების მიღება (მაგ., პაციენტის განათლება, სისხლძარღვოვანი წვდომის კოორდინატორის მუშაობით), სისხლძარღვოვანი მუდმივი წვდომის ადგილის განთავსებისა და კათეტერის ამოღების ბარიერების იდენტიფიცირებისა და მოგვარების გზით.

## 7. ქლორჰექსიდინი კანის ანტისეპტიკისთვის

ცენტრალური კათეტერის შეყვანისა და სახვევის გამოცვლის დროს, კანის ანტისეპტიკური საშუალების სახით პირველი რიგის საშუალებად გამოიყენეთ სპირტზე დამზადებული ქლორჰექსიდინის (>0.5%) ხსნარი.

o ქლორჰექსიდინის აუტანლობის მქონე პაციენტებისთვის ალტერნატივაა პოვიდონ-იოდი (სასურველია სპირტთან ერთად) ან 70%-იანი სპირტი.

## 8. კათეტერის კონექტორის დეზინფექცია

თავსახურის მოხსნის შემდეგ და მასზე წვდომამდე გაწმინდეთ კათეტერის კონექტორი შესაბამისი ანტისეპტიკური საშუალებით. ეს პროცედურა შეასრულეთ კათეტერის შეხებისას ან გათიშვის შემდეგ ყოველ ჯერზე.\*\*

## 8. ანტიმიკრობული მალამო

სახვევის გამოცვლისას კათეტერის გამოსასვლელ ადგილებში წაუსვით ანტიბიოტიკის შემცველი ან პოვიდონ-იოდის მალამო.\*\*\*

\*იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც ქლორჰექსიდინის ატანა არ შეუძლია, გამოიყენეთ პოვიდონ-იოდი, ან 70%-იანი სპირტი.

\*თუ გამოიყენება დახურული, უნემსო შემართებული მოწყობილობა, ჩაუტარეთ დეზინფექცია მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად.

\*\*\* ჰემოდიალიზის კათეტერის გამოსასვლელი ადგილებისთვის ანტიმიკრობული მალამოს არჩევის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ CDC დიალიზის უსაფრთხოების ვებ-გვერდი (<http://www.cdc.gov/dialysis/prevention-tools/core-interventions.html#sites>). ალტერნატიულად, შეიძლება გამოყენებულ იყოს ქლორჰექსიდინით გაქვნილი ქაფის სახვევი.



დიალიზის დროს სისხლის ნაკადის ინფექციის (BSI) პრევენციის ზომების შესახებ  
დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ <http://www.cdc.gov/dialysis>